ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7174059

ნომერი: AR11049995

თარიღი : 26.07.2024

გაცემის თარიღი : 09.08.2024

გაცნობის თარიღი : 12.08.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის ქუჩა, N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაღლაკელიძე პ/ნ 01008022482
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 50, ბინა 59

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR11049995 (26/07/2024) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის ქუჩა, N63-ში (ს/კ N 01.72.14.032.022) ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (6 ბინიანი სახლის) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ცვლილებას.

საპროექტო საკადასტრო ერთეული (ს/კ N 01.72.14.032.022) მდებარეობს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით მოშენებულ სისტემურად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში. ხოლო, ჩამოყალიბებულ გარემოში სივრცით მოცულობითად განსხვავებული ობიექტის გაჩენა იწვევს არსებული გარემოს რადიკალურ ცვლილებას (იცვლება ინფრასტრუქტურული მოწყობა, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობა, ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაგეგმილი ბალანსი და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლები). აქედან გამომდინარე, სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ცვლილების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.